ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 5

20 იანვარი
"---"-------- 2017 წ

ქ. თბილისი

,,ქ.თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის შპს ,,ოჟიო''-სთვის (ს/ნ 416289849) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 8 ნოემბრის №01-4/135 ბრძანების 3.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან შპს ,,ოჟიოს'' (ს/ნ 416289849)გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ,,ქ.თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის შპს ,,ოჟიო''-სთვის (ს/კ: 416289849) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 8 ნოემბრის №01-4/135 ბრძანების დანართით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურების თაობაზე და შპს ,,ოჟიოს'' (ს/კ: 416289849) მიერ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 იანვრის №01.08.08 განკარგულების შესაბამისად, ,,ქ.თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის შპს ,,ოჟიო''-სთვის (ს/კ: 416289849) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 8 ნოემბრის №01-4/135 ბრძანების დანართის 3.1 პუნქტით განსაზღვრული, 2014 წლის 8 ნოემბრიდან 2015 წლის 8 ნოემბრამდე ვალდებულების შეუსრულებლობისთვის 2015 წლის 19 ნოემბრიდან 2016 წლის 19 ოქტომბრამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (ჯამში 14 774 (თოთხმეტი ათას შვიდას სამოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით) შპს ,,ოჟიოს'' (ს/ნ 416289849) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი